ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №28
2020 წლის 25 ნოემბერი

ქ. ბოლნისი

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4, მე-6, მე-7, მე-8 პუნქტების საფუძველზე ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის №2 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 23/01/2020, 190020020.35.158.016492) დამტკიცებულ დანართი №1-ის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გათბობის სეზონის დასაწყისში ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც არ მიეწოდება ბუნებრივი გაზი, ერთჯერადი ფულადი დახმარება 250 (ორასორმაცდაათი) ლარის ოდენობით გაეწევათ:

ა) სოციალურად დაუცველ (65 000-მდე სარეიტინგო ქულა) მარტოხელა პესიონერებს;

ბ) სოციალურად დაუცველ (65 000-მდე სარეიტინგო ქულა) შშმ პირების ოჯახებს;

გ) სოციალურად დაუცველ (65 000-მდე სარეიტინგო ქულა) მრავალშვილიან (სამი და მეტი არასრულწლოვანი) ოჯახებს.

$1.^{1}$ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ბენეფიციარებს, გათბობის სეზონის დასაწყისში ბოლნისის მუნიციპალიტეტის იმ ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც მიეწოდება ბუნებრივი გაზი, ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწევათ 200 (ორასი) ლარის ოდენობით.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოვენებისთანავე და გავრცელეს 2020 წლის 25 ნოებრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთერთობებზე.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **თამაზ ჟორჟოლიანი**